თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL

დადგენილება:**დ-27. 27240605**

თარიღი:**29/02/2024**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 15**

**29 თებერვალი 2024 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ $106^1$ მუხლის მე-9 პუნქტის, 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

**1.** მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრს“ (ს/კ 431437938) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, რუსთაველის გამზ. N81ა-ში მდებარე N1/3 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 53.20.47.558) პირველ სართულზე არსებული 188.46 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

**2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი